ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1989 წ. № 244 (10 163) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# სპონსორობა სპორტის ღონეა

„ლელოს" დაკვირვებულ და ამ საქმით დაინტერესებულ მკითხველს უთუოდ ეხსომება, რომ ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენ სპორტში სპონსორობის აუცილებლობაზე გავამახვილეთ ყურადღება. იმ მოწინავე წერილის სათაური იყო „ვისწავლოთ სპონსორობა". მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. დღეს ამ საქმეში კონკრეტული ნაბიჯებიც გვაქვს გადადგმული. თუ ადრე სპონსორობა მხოლოდ კაპიტალისტური სამყაროს სპორტული ცხოვრების თანამგზავრად მიგვაჩნდა და მსგავს ინფორმაციებს სენსაციურ ცნობად აღვიქვამდით, ახლა სპონსორის საკეთე ქართულმა სპორტმაც იგემა და, პირიქით, სპონსორმაც იგრძნო, რა შესაძლებლობა ჰქონია ახეთ ურთიერთობას საკუთარი „ფირმის" სახელის წარმოსაჩენად. მეტიც, სპონსორობა იმ ორგანიზაციებისთვის, ვინც ამაზე თანხმდება, ღირსების საქმედ იქცა. ახლა გვახსენდება პირველი სპონსორიც — შულავერის მატყლის ფაბრიკა. გაერთიანება „თეთრონთან" ერთად ძალიან დიდია ამ სპონსორის წვლილი ქართულ ჭიდაობაში პირველი საერთაშორისო ტურნირის მომზადებასა და მაღალ დონეზე ჩატარებაში. გავიხსენოთ, როგორ ამშვენებდა ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლის სარბიელს მრავალი საწარმოს თუ ორგანიზაციის სარეკლამო ფარი. ყველა ისინი მინიფეხბურთში მ. მესხის პრიზზე პირველი საერთაშორისო ტურნირის სპონსორები იყვნენ.

სპონსორობა სპორტის ღონეა. როგორ ესაჭიროება დღეს ქართულ სპორტს ეს ახალი ენერგია! ესაჭიროება, რათა იგი ხვალ უფრო მყარად დადგეს ორივე ფეხზე, ვიდრე ეს დღესაა. ქართული სპორტი მათი შემწეობით უფრო გაღალდება, უფრო ამაყად გაუსწორებს თვალს ყველა მეტოქეს და აღარ იქნება ნაბოძვარ-დამადლებული სახსრებით დარცხვენილი და დავალდებულებული. დიახ, ქართულ სპორტს დამადლებული „ყავარჯნები" არ სჭირდება, მშობლიურ მიწაზე, მშობლიური ხალხის ზრუნვით უნდა იაროს მხრებგაშლილმა. უცხოეთისგან განსხვავებით, სადაც სპონსორები ცდილობენ, როგორმე მოიპოვონ ამა თუ იმ გუნდის სპორტსმენის ან შეჯიბრების მეურვეობა და საამისოდ ფარულ აუქციონში ებრძვიან ერთმანეთს, ჩვენთან ჯერ საქმე გაცილებით იოლადაა — აირჩიე ვინც გინდა და რაც გინდა, მთელი ქართული სპორტი თითქმის ხელუხლებელი ყამირია.

თუნდაც მარტო ის რად ღირს, ჩვენს სპორტს თუ ის სახსრები მოხმარდება, რაც სოციალური ფონდიდან ბიუროკრატიული აკრძალვებით აუთვისებელი რჩება და ხშირ შემთხვევაში იკარგება ან საკავშირო ფონდში გადადის. სხვათა შორის, საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებმაც უნდა გაიღონ წვლილი თუნდაც ჩვენი ენერგო და სხვა რესურსების, იჯარის, ეკოლოგიური ზიანის საკომპენსაციოდ.

სპონსორობა ორმხრივ ხელსაყრელი და სასარგებლო საქმეა. ქართული სპორტი არავის წინაშე ვალში არ დარჩება.

# ბაკურიანს ჩვენ უნდა მოვუაროთ

**დარწმუნებული** ვარ, ყველა ქართველი, ჩვენი პატარა, მაგრამ საამაყო და საყვარელი ერი უკან არ დაიხევს და შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს ბაკურიანის კეთილმოწყობას.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ნაკრებმა და მათმა მწვრთნელებმა (ვისაც ბაკურიანში სურს ვარჯიში და დასვენება) განსაკუთრებით იმათ, ვინც წინააღმდეგი იყო ბაკურიანისა და მხარი დაუჭირა სოჭის კანდიდატურას, გადაიხადოს განსაზღვრული თანხა, რომელიც ისევ ბაკურიანის კეთილმოწყობას მოხმარდება. და ეს უნდა შეეხოს არა მარტო ბაკურიანს, არამედ საქართველოს სხვა სპორტულ ბაზებსაც.

**ქეთევან კახრაძე.**

თბილისი.

# გადაირიცხა 00070045 ანგარიშზე

**ფიზკულტურისა** და სპორტის მომსახურების კოოპერატივმა „სიმხნევე-88"-ის გამგეობამ „ბაკურიანი-98"-ის ფონდში გადარიცხა 300 მანეთი.

**ლ. ჟურაშვილი,**
გამგეობის თავმჯდომარე.



# ჩვენი წვლილი

**საქართველოს** სპორტსახკომის ტრესტ „საქსპორტმშენის" მე-4 სამმართველოს კოლექტივი მხარს უჭერს ინიციატივას, რომლის მიზანია 1998 წლისთვის საკუთარი სახსრებით ბაკურიანის სრული კეთილმოწყობა.

ამასთან დაკავშირებით სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა „ბაკურიანი-98"-ის ფონდში ჩარიცხოს 5 000 მანეთი.

გარდა ამისა, სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის ყველა წევრს „ბაკურიანი-98"-ის ფონდში შეაქვს ნახევარი თვის ხელფასი, რამაც შეადგინა 3000 მანეთი. სამმართველოს უფროსმა დონად ლატარიამ კი ფონდში ერთი თვის ხელფასი შეიტანა.

სულ ჩვენგან ჩაირიცხება 8 300 მანეთი.

**დონადი ლატარია,**
მე-4 სამმართველოს უფროსი,

**დავით ბუცხრიკიძე,**
პარტორგანიზაციის მდივანი,

**ნუგზარ ფანცულაია,**
ადგილკომის თავმჯდომარე.

# შტაბის სხდომაზე

**გუშინ,** საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის სამზადისის ოპერატიულ შტაბის მორიგ სხდომაზე განიხილეს ხელბურთში, კალათბურთში და მძლეოსნობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების საკითხები. შეფასდა დღეისათვის არსებული მდგომარეობა, დაისახა პრობლემათა გადაწყვეტის გზები.

თვალსაზრისი — რაგბი თუ რაგბურთი?

# იქნებ, არაა გვიან!

ეროვნული მოძრაობის ტალღა ყველა სფეროს გადასწვდა. მათ შორის სპორტულ ტერმინოლოგიასაც. აგერ, ამ ცოტა ხნის წინათ რუსულიდან შემოსული „რეგბი" თავად ამ თამაშის წარმომადგენლებმა „რაგბად" შეასწორეს, ხოლო „რეგბისტი" „მორაგბედ" გააქართულეს.

კეთილი და პატიოსანი.

ამ წერილის მიზანია, ჩვენი აზრით, უფრო გავაბუნებრივოთ შეცვლილი ტერმინები და „რაგბი" „რაგბურთად" (ფეხბურთის, კალათბურთის, კეტბურთის და ა. შ. რიგში) და „მორაგბე" „რაგბურთელად" (ფეხბურთელი, კალათბურთელი, კეტბურთელი...) მოვიხსენიოთ ხოლმე.

ვფიქრობთ, „რაგბ" სიტყვის ძირში არსებული „ბანი" გვაძლევს ტერმინების ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმით წარმოთქმის საშუალებას.

საინტერესოა, უწინარესად, სპეციალისტების აზრი ამ საკითხზე.

**გრიგოლ რუხაია.**
თბილისი.

**უფრო** ადრე ასეთივე მოსაზრება შემოგვთავაზა პენსიონერმა მასწავლებელმა შალვა პაპუაშვილმა. მისი აზრითაც, ვინაიდან რაგბი ბურთით თამაშია, „სიტყვა „რაგბი"-ის უნდა გამოეყენოს ისეთი ფორმა, როგორიც აქვს ფეხბურთს, კალათბურთს, ხელბურთს, წყალბურთს. ამ მაგალითების მიხედვით, უმჯობესია, დავამკვიდროთ რაგბურთი და რაგბურთელი".

ცხადია, რედაქციას აინტერესებს მკითხველთა, უწინარესად კი, როგორც აღნიშნავს გ. რუხაია, სპეციალისტთა აზრი.

სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში

I ლიგა

# „ბურევესტნიკი": რვიდან-რვა

**უზბეკეთის** ქალაქ ნავოიში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მესამე ტური.

კარგად ითამაშა თბილისის „ბურევესტნიკმა", რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოიგო და ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა — რვიდან რვა. ჩვენმა ხელბურთელებმა ორ-ორჯერ სძლიეს ალმა-ათისა (34:23 და 34:25) და ტაშკენტის გუნდებს (22:19 და 24:22).

დღეისათვის „ბურევესტნიკს" 25 ქულა აქვს და გათამაშებაში მესამე ადგილზე იმყოფება კაუნასის „გრანიტასისა" და ბროვარის „სტროიტელის" (თითოეულს 26 ქულა) შემდეგ.

მომდევნო, მეოთხე ტური ერევანში გაიმართება 11-14 იანვარს. თბილისელები აქ შეხვდებიან კიშინიოველ და ერევნელ ხელბურთელებს.




**ალბათ** არ უნანია იმ მაყურებელს, რომელიც მკლავჭიდში გამართულ პირველ შეჯიბრებებს დაესწრო თბილისში. ეს იყო ყოველმხრივ საინტერესო ასპარეზობები მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არც ორგანიზატორებს ჰქონდათ და არც მონაწილეებს.

24 დეკემბერს თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება მორიგი ასპარეზობა მკლავჭიდში, კერძოდ, საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომლის ჩატარება ითავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულმა კოოპერატივმა „არწივმა". შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლია ყველას, საამისოდ საჭიროა წინასწარი ჩაწერა 22 და 23 დეკემბერს 10 საათიდან, 24 დეკემბერს — დილის ათ საათამდე.

გამარჯვებულისთვის დაწესებულია პრიზი — ათასი მანეთი. შეჯიბრების შედეგების მიხედვით შედგება საქართველოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ტურნირებში.

ასპარეზობა 24 დეკემბერს 11 საათზე დაიწყება.

ის. გვ. 2 გვ

## წოდების მინიჭება

**სახელმწიფო** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**კლასიკურ ჭიდაობაში** — ნაიბი დვალიძეს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), გოგი კოღუაშვილს (ქუთაისი, „დინამო")

**სპორტულ ტანვარჯიშში** — ემზარ ფუნთუშაშვილს (თბილისი, „დინამო")

**თავისუფალ ჭიდაობაში** — შამილ მჭედლიძეს (თბილისი, „მართვე").

პასუხი „ლელოს" — კვლავ ჩაღრმავება

# „საქმეს მთლიანად და არა დაპირებებს"

# „ვითომ გამონაკლისია?"

**თბილისის** სპორტნაგებობათა სამმართველო გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის 3 და 6 დეკემბრის ნომრებში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ტანვარჯიშის კომპლექსის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და ქართული ენის სტატუსს, სინამდვილეს შეეფერება.

მამხილებელი ფაქტების თაობაზე მკაცრად იმსჯელა სამმართველოს ადმინისტრაციამ. დამნაშავენი დაისაჯნენ. ტანვარჯიშის კომპლექსის ექიმს ა. როდიონოვას სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისადმი უყურადღებობისათვის გამოეცხადა საყვედური. დირექტორის მოადგილეს ტ. უგულავას რუსული ლოზუნგების დროულად შეუცვლელობისათვის მიეცა მითითება. დირექტორს გ. კაპარავას დაევალა, რომ შემდგომში აღარ განმეორდეს ასეთი ნაკლოვანებები.

აღნიშნული სპორტული ბაზა აყვანილია მკაცრ კონტროლზე. დღეისათვის ყველა საკითხზე გატარებულია კონკრეტული ღონისძიება.

**ზ. ქალმახელიძე,**
სამმართველოს უფროსი.

ალტერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

### პატრონს არ ვკითხოთ?

**როგორც** ჩანს, ზოგიერთებს საქმე შემოლევიათ, ყველაფერში ყოფენ ცხვირს — მე ასე და ასე მინდაო, ასე უფრო სწორიაო. კი, ბატონო, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, მაგრამ პატივცემული რედაქცია რატომ აქვეყნებს ყველაფერ ამას?

ჯერ თვეობით მიმდინარეობდა თავაწყვეტილი კამათი თბილისის „დინამოს" სახელის შეცვლის თაობაზე. არ ვიცი, ვინ ეკითხება მათ „დინამოს" მონათვლას. „დინამოს" ჰყავდა მშობლები, დაარქვეს სახელი და ახლა იგი არავის ეხვეწება, შემიცვალეთო. უკეთესი იქნებოდა, ყველამ ის საქმე აკეთოს, რაც ავალია ქვეყნის საკეთილდღეოდ. ახლა, აგერ გამოჩნდნენ ვაიგულშემატკივრები. რა სურთ მათ? თბილისის „დინამო" ეთამაშოს არა ცნობილ საბჭოთა გუნდებს, არამედ ოზურგეთის „მერცხალს", სამტრედიის „ლოკომოტივს", გორის „დილას" და ა. შ. აი, სადამდე მივედით. გასაკვირი ის კი არ არის, რომ ამ ადამიანებს აღარ აინტერესებთ თბილისის „დინამოს" ბედი, არამედ ის, რომ „ლელოს" რედაქცია ბეჭდავს ასეთ წერილებს. თუ რედაქციაც მათი მომხრეა, მაშინ რედაქტორი გამოვიდეს თავისი პროგრამით ამ საკითხზე.

მეტიც, „ლელო" თხოვნით მიმართავს ფეხბურთის სპეციალისტებს, გვიშველეთ, თქვენც ამოიღეთ ხმაო. ღმერთმა ჰქნა და ისინი ჯერჯერობით ამჯობინებენ ჩვენმა „დინამომ" ითამაშოს იქ, სადაც არის და თამაშობს ამჟამად, მაგრამ ვიღაცას მაინც სურს, რომ ფეხბურთის სპეციალისტებსაც ათქმევინოს რაღაც. კი მაგრამ, რატომ არ გავჩერდებით, ბოლოს და ბოლოს, ვისი რა საქმეა, „დინამო" სად ითამაშებს. კითხეთ კი თბილისის „დინამოს" კოლექტივს რა სურს?

არა, საქმე არც ისეა, ზოგს რომ ჰგონია და გაჰყვირიან: „დინამო" ჩვენიაო. არა, ბატონებო, „დინამო" ჯერ შენი და ჩემი კი არაა, მისი პატრონისაა. არ მოგვისმენია, რომ მათ სურთ ითამაშონ მხოლოდ საქართველოს პირველობაზე.

როგორ გგონიათ, დღევანდელ „დინამოში" რომ თამაშობდეს მესხი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, ხურცილავა, მაჩაიძეები, ნოდიები, შენგელია, გუცაევი, თვით დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე დათანხმდებოდნენ ეთამაშათ მხოლოდ საქართველოს პირველობაზე და არ გასულიყვნენ საკავშირო არენაზე? რატომ არ ვეკითხებით დღევანდელ დინამოელებს, რა სურთ მათ, რა სახელი ატარონ და ვისთან ითამაშონ?

განა თბილისის „დინამომ" 53 წელიწადი იმიტომ ილვაწა, იშრომა, იკაფა, საკუთარი სახელი დაირქვა, რომ მხოლოდ საქართველოს პირველობაზე ითამაშოს? იმათ, ვინც ასეთი მოთხოვნა წამოაყენა, ჯერ თავად შექმნან რომელიმე გუნდი, მოამზადონ, დაარქვან რაც უნდათ და მისი მონაწილეობით მოაწყონ საქართველოს ჩემპიონატი. ალბათ ასე უფრო დატკბებიან, ვიდრე უყურონ თბილისისა და კიევის დინამოელთა თამაშს. მაშინ შეუძლიათ წელიწადში ორჯერ მოაწყონ საქართველოს პირველობა ფეხბურთში.

თბილისის „დინამოს" ხელყოფა არავის საქმე არ არის, მით უმეტეს „ლელოს" რედაქციისა (გთხოვთ მომიტევოთ ნამეტანი პირდაპირობა).

**ვანო ციკოლია,**

ქუთაისი.

### მხარს ვუჭერ...

**ძალზედ** ჩამაფიქრა და ამაღელვა ო. ჯიბლაძის წერილმა. დღეს, როდესაც საქართველოში აღმავლობას განიცდის ეროვნული მოძრაობა, ყველა ქართველის ვალი უნდა იყოს, ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისას დაიცვას ეროვნული ინტერესები. აღმაშფოთებელია ო. ჯიბლაძის კატეგორიულობა, როცა წერს: „არავითარი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში!" ანგარიშს არ უწევს რა ეროვნულ მოძრაობას, იგი უგულებელყოფს ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში. ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დამოუკიდებლობისაკენ.

ჩემი აზრით, შეიძლება თავიდან ძალიან საინტერესო არ იყოს ეროვნული ჩემპიონატი და დიდძალი მაყურებელიც შეიძლება ვერ მოიზიდოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რა დაბალი დონის ფეხბურთს თამაშობენ დღეს თბილისის „დინამო" და საქართველოს სხვა გუნდები.

მე მტკიცედ მჯერა, რომ რამდენიმე წელიწადში ეროვნული ჩემპიონატი გახდება საინტერესო და ცალკეული ფეხბურთელები აიმაღლებენ ოსტატობას. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი საწინდარი იქნება მსოფლიო ასპარეზზე ქართული ფეხბურთის დამკვიდრებისათვის. მე წარმოდგენილი მაქვს რა დიდი სიხარულით და სიამაყით აღივსება ქართველ გულშემატკივართა გულები, როცა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე ეროვნულ მაისურებში გამოწყობილი გამოვლენ მინდორზე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები. ყოველივე ამისთვის დროა უკვე დავიწყოთ ზრუნვა.

**ზ. ბებეჭკორი.**

თბილისი.

### ვისაც თავისი ქვეყანა აქვს...

**ეროვნული** ჩემპიონატი ფეხბურთში ისევე აუცილებელია ჩვენთვის, ქართველებისათვის, როგორც ჩვენი ენა ქართული, დამწერლობა, მიწა, თავისუფლება (თუ გნებავთ საფეხბურთო ხელწერაც) და სხვა მრავალი. ამ თემაზე კამათი და მით უმეტეს უარყოფა ეროვნული ჩემპიონატისა, პირადად მე, ერის შეურაცხყოფად მიმაჩნია. სრულიად ვეთანხმები 10 დეკემბრის გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებული წერილებიდან ვინმე ზოიძის მოსაზრებას.

ფრაზა „საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში" განა თავისთავად იმას არ ნიშნავს, რომ მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს ყველა უძლიერესმა გუნდმა თბილისის „დინამოს" ჩათვლით? განა მთელ მსოფლიოში ასე არ არის, ვისაც თავის საკუთარი ქვეყანა გააჩნია? ველოსიპედს ახლიდან ხომ ვერ გამოვიგონებთ და ამერიკაც ხომ კარგა ხანია აღმოჩენილია? დღეს აღარავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ხვალ იქნება თუ ზეგ, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას თუ სუვერენულ უფლებებს ყველა ქვეყანა მიიღებს, მაშ რატომ ვერ წარმოუდგენიათ ზოგიერთებს, რომ ეროვნული ჩემპიონატი იგივე შემადგენელი ნაწილია იმ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, რისთვისაც ამდენი უმანკო სისხლია დაღვრილი ჩვენს მრავალტანჯულ მიწა-წყალზე. ღმერთმა ქნას და რისთვისაც ვიბრძვით, ის საკითხები გადაწყდეს, თორემ ჩემპიონატის ჩატარებას დიდი ფილოსოფია არა სჭირდება. პირადად მე მისი წარმართვა ასე წარმომიდგენია:

უმაღლეს ლიგაში (16-18 გუნდი) გაერთიანდება ყველა უძლიერესი გუნდი თბილისის „დინამოს" ჩათვლით. რაც მთავარია, არ უნდა მოხდეს ძლიერი ფეხბურთელების თავმოყრა ერთ რომელიმე გუნდში. ისინი უნდა განაწილდნენ უმაღლეს ლიგაში გაერთიანებულ ყველა გუნდში იმ პრინციპით, რომ შევქმნათ თანაბარძალოვანი კლუბები. ყოველი გუნდი უშუალო კონკურენტს უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი გუნდისთვის (თუნდაც პირველი წრის ბოლომდე მაინც). მხოლოდ ასეთი კონკურენციის პირობებში შეიძლება ვიფიქროთ ფეხბურთის აღმავლობაზე და საერთო დონეზეც.

ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება, ვფიქრობ, არ არის საკამათო საკითხი. გუნდების იგივე რაოდენობა იქნება პირველ ლიგაშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ გუნდები დაიყოფიან ორ ჯგუფად (აღმოსავლეთი, დასავლეთი). მეორე ლიგა მასობრივი უნდა იყოს და, ჩემი აზრით, ყველა ის რაიონი უნდა გაერთიანდეს, სადაც კი ელემენტარული საშუალო პირობები მაინც არსებობს ფეხბურთის განვითარებისათვის, შემდგომში მატერიალური ბაზის განმტკიცებას ამ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, სხვანაირად შეუძლებელი იქნება რაიმე წარმატებაზე ფიქრი.

ერთი და იგივე ლიგაში ფეხბურთელების მოძრაობა რაიონიდან რაიონში ან ქალაქიდან ქალაქში სასტიკად უნდა აიკრძალოს. არ უნდა შევზღუდოთ მხოლოდ ის ფეხბურთელი, რომელსაც აქვს იმის მონაცემები, რომ ითამაშოს უფრო მაღალ ლიგაში.

რესპუბლიკების ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულმა გუნდებმა უნდა გაითამაშონ საკავშირო თასი (ეგრეთ წოდებული ჩემპიონთა თასი). ანალოგიური იქნება თასის მფლობელთა თასიც. სხვა შეჯიბრებების ჩატარება საკავშირო მასშტაბით გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი საგაზეთო წერილში, ბუნებრივია, ვერ აისახება. სასურველი იქნება, როცა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ყველა პირობა შეიქმნება, შესაბამისი დებულება გამოქვეყნდეს გაზეთ „ლელოში" საჯარო განხილვისათვის.

**ზაალ მაისურაძე,**

თელავის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

### მე ასე წარმომიდგენია

**მე** კატეგორიულად ვეწინააღმდეგები მათ მოსაზრებას, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას. მადლობა ღმერთს, რომ დღემდე ჩვენ ეროვნული ჩემპიონატი არ გვქონია, თორემ ჩვენს რესპუბლიკას არ ეყოლებოდა ისეთი გამოჩენილი ფეხბურთელები (არ შევუდგები გვარების ჩამოთვლას), რომლებიც ცნობილი არიან არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ეს ფეხბურთელები იმიტომ დაოსტატდნენ, აიმაღლეს თამაშის კლასი და მიიღეს სათანადო გამოცდილება, რომ ხვდებოდნენ მოსკოვისა და უკრაინის გუნდებს, სადაც უთამაშნიათ და დღესაც თამაშობენ „ტყავის ბურთის" ნამდვილი ოსტატები — საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელები, აბა, რა კლასი უნდა აიმაღლონ თბილისის დინამოელებმა იმით, რომ იმოგზაურონ ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, წყალტუბოში, გორში, რუსთავში, ოზურგეთში, ზუგდიდში. ვშიშობ, ისედაც კატასტროფამდე მისული ჩვენი საყვარელი გუნდი „დინამო" სულ დაკარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას და თავისი თამაშის მანერას იმ იმედით, რომ ზემოთ აღნიშნულ გუნდებთან ჰიდილში მაინც მოიპოვებს ჩემპიონობას. ნეტავი რისი იმედი აქვთ იმ ავტორებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის კლუბები წარმატებით იასპარეზებენ ევროპულ ტურნირებში და სასურველ შედეგსაც მიაღწევენ. მე კი მჯერა, რომ ევროპის გუნდებს კი არა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში სულ ბოლო ადგილებზე გასულ გუნდებსაც კი ვერ გაუწევენ სათანადო წინააღმდეგობას. ამიტომ ვეთანხმები იმ აზრს, რომ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა საჭიროა და დავუმატებდი, რომ აუცილებელიც. თუ საქართველო მიაღწევს დამოუკიდებლობას, რაზედაც ოცნებობს ქართველი ერი, მაშინ თავისთავად იქნება ეროვნული ჩემპიონატიც და ამაზე არ ღირს წინასწარ თავის მტვრევა, დღეისათვის კი ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, ვუსურვოთ თბილისის „დინამოს" და ლანჩხუთის „გურიას" საკავშირო ჩემპიონატში თავის გამოჩენა. ვუსურვოთ მოეპოვებინოთ ევროპის ქვეყნების გუნდებთან პაექრობის უფლება და გავეხარებინოთ ისე, როგორც გაგვახარა ჩვენმა საყვარელმა „დინამომ" 1981 წლის 13 მაისს.

**იაგო ასანიძე.**

### რედაქციის განცხადება

**იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველი საკითხის ირგვლივ რედაქციაში მოზღვავდა წერილები და იქმნება საშიშროება, რომ ყველა მათგანის დაბეჭდვა არ მოხერხდება, ავტორებს ვთხოვთ თავიანთი პოზიცია მოკლედ ჩამოაყალიბონ ჩვეულებრივი საწერი ფურცლის არაუმეტეს ერთ, ერთნახევარ გვერდზე.**



# [illegible] ოლიმპიური სახეობა გახდება

**1960 წლამდე** ამერიკელ მაკ ბეჩელორს ტოლს ვერავინ უდებდა მკლავჭიდში. მის წინაშე ფარხმალს ყრიდნენ პროფესიონალი მოჭიდავეები და ძალოსნები. ბეჩელორის სიმაღლე 180 სმ, ხოლო წონა — 135 კგ იყო, ატარებდა უცნაურ ულვაშებს — თითოეულის სიგრძე უდრიდა 20 სმ. ამიტომაც ამ მეგობრულ შარჟზე გამოსახულია მის ცალ ულვაშზე მოკალათებული ჩიტი. ბეჩელორი თითებით იოლად გლეჯდა შუაზე ჩოგბურთის ბურთს და ღუნავდა ლითონის მსხვილ მონეტას, მიწას აცილებდა 500 კგ-იან ტვირთს; თითებს ჩაჰკიდებდა კიდეებში 30 კგ-იან ლუდის კასრებს და მერე ხელებს შლიდა.

ამ უჩვეულო ჯან-ღონიანმა და ფოლადივით ნაწრთობი მაჯის მქონე ათლეტმა მთელი 25 წელი იმეფა მკლავჭიდის ასპარეზზე. ამ დროის განმავლობაში იგი თანამემამულეთა კერპი იყო.

მკლავჭიდი ამჟამად მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარული სპორტის სახეობაა. მას ჰყავს თავისი ჩემპიონები, დიდძალი მაყურებელი, იღებენ კინოფილმებს ცნობილი მსახიობების მონაწილეობით.

სპორტის ეს სახეობა საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული. მას ახლო წარსულშიც ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

მკლავჭიდში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჯუანშერ ჯურხაძემ, რომელმაც ცნობილი ათლეტი ქერებცოვი დაამარცხა, თეიმურაზ ყუბანეიშვილმა დაჯაბნა ცნობილი ძალოსანი ვლასოვი, ხოლო ბიძინა ავალიშვილმა — არაერთი ტანმოვარჯიშე თუ მოჭიდავე.

ეს შეჯიბრება, როგორც ვთქვით, იქცა სპორტის სახეობად არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ ჩვენშიც.

საქართველოში მის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის მოყვარულ მოჭიდავესა და მოკრივეს ვახტანგ მუსელიანს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოსთან მწვრთნელთა საბჭო. შემუშავდა წესდება, მომზადდა სპეციალური დანადგარები და ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღია ჩემპიონატი.

ამ კარგ წამოწყებას ისეთი პირი უჩანს, რომ მკლავჭიდი ისეთივე პოპულარობას მოიპოვებს საქართველოში, როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

მკითხველებს ვაცნობებთ, რომ შეიქმნა მკლავჭიდის პროფესიული მსოფლიო ფედერაცია. დასმულია საკითხი სპორტის ეს სახეობა შეიტანონ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

**ედიშერ გიორგაძე.**

# წინაპრის ნაკვალევზე

**მეთერთმეტეკლასელ** ვერიკო თუხარელს ჩოგბურთის სიყვარული გვარიდან მოსდევს.

მამამისი, სულიკო თუხარელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გახლდათ. დიდია მისი ღვაწლი ქართული საჩოგბურთო სკოლის განვითარებაში. სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ იგი წავიდა ამ ქვეყნიდან, ხოლო ვერიკოს მამიდა — ნინო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულში ირიცხებოდა.

არც ვერიკოს აკლია წარმატებები: „დინამოს" საკავშირო ტურნირი (ტალინი) — II ადგილი; ერევნის ღია ჩემპიონატი — III ადგილი; საქართველოს ღია ჩემპიონატი (ბათუმი) — II ადგილი; საკავშირო ახალგაზრდული თამაშები — გუნდური III ადგილი. სულ ახლახანს კი ვერიკომ თბილისის პირველობის ფინალურ მატჩში დაამარცხა ირმა კულდანაშვილი და უძლიერესის სახელს დაეუფლა.



ეს პირველობა წელს განსხვავებულად ჩატარდა. გამარჯვებულებს ფულადი პრემიები გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ ვაჟთა შორის ოქროს მედალი სპორტის ოსტატმა დავით კაჭარავამ მოიპოვა.

მივულოცოთ ვერიკოს პირველი დიდი გამარჯვება, მივულოცოთ მის მწვრთნელსაც თომას ლეიუსს და, როგორც ტრადიციულად იტყვიან, შემდგომი გამარჯვებები ვუსურვოთ მას.

გვწამს, რომ სახელოვან წინაპრებს ღირსეული მემკვიდრე ეყოლება.

**ქეთინო ქურდოვანიძე.**

• • •

სურათზე: თამაშობს ვ. თუხარელი.

# შვიდი წლის შემდეგ

**სამტრედიის** რაიონის ფეხბურთის მინდვრებზე ორ თვეს გაგრძელდა 1989 წლის სარაიონო პირველობა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, ტრადიციულ ჩემპიონატში მონაწილეობდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოო-დაწესებულებების 12 გუნდი.

შვიდი წლის „შესვენების" შემდეგ გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის ვ. კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდა მელაურის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი, მესამე ადგილი წილად ხვდათ რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის ფეხბურთელებს.

სარბიელზე გუნდების გამოყვანა ვერ მოახერხა ბევრმა კოლექტივმა, რომელთა მონაწილეობაც ინტერესს შემატებდა ამ მასობრივ შეჯიბრებას.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოშვიდე სტარტი

## ვემზადებით ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადისათვის



**როგორც** ცნობილია, 1990 წლის თებერვალ-მარტში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადის ფინალი. ასპარეზობანი ძირითადად უკრაინისა და ლატვიის ზამთრის ცენტრებში ჩატარდება. ამ დიდი კომპლექსური შეჯიბრების პროგრამაშია 14 სახეობა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მათგან ექვსში მიიღებენ მონაწილეობას (სამთო-თხილამურები, 14-25 თებერვალი, სლავსკოე, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა 21-25 თებერვალი სკოლე, ფიგურული სრიალი, 21-25 თებერვალი, კიევი, ფრისტაილი, 17-21 თებერვალი, სკოლე, ციგაობა, 7-11 მარტი, სიგულდა, ნატურბანი, 4-8 მარტი, ზლატოუსტი.

რესპუბლიკის ნაკრების მზადებაზე გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის ზამთრის სახეობათა განყოფილების უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი **ფერბენქს ნავერიანი**:

— **ზამთრის** სპარტაკიადისათვის მზადება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა მაისში დაიწყეს. გადაწყდა, ორ ახალ სახეობაში — ნატურბანსსა და ფრისტაილში მივიღოთ მონაწილეობა. მოგეხსენებათ, ეს სახეობები ჩვენში სულ ახლახან დაინერგა და საერთოდ პირველად შეიტანეს სპარტაკიადის პროგრამაში.

**სამთო-მოთხილამურეთა** ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი, სპორტის ოსტატი გერა აბრამიშვილი. გუნდი მთელი მონდომებით ემზადება დიდი სტარტისათვის, შეიმჩნევა შეთანხმებული მოქმედება და ურთიერთდახმარება. თუ ბოლომდე ასე გაგრძელდა, ვფიქრობთ, წინა წლებთან შედარებით საგრძნობ პროგრესს მივაღწევთ. მოსალოდნელია ჩვენი ორი-სამი სპორტსმენის პირველ ოცეულში მოხვედრა, სადაც მივიღებთ ჩასათვლელ ქულებს. პირველ ყოვლისა გია ორჯონიკიძისა და ისმაილ კაჩკაროვის იმედი გვაქვს. სამთო-მოთხილამურეთა ნაკრებმა ივნის-ივლისში ტერსკოლში ჩაატარა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, იქვე გაიმართა სპორტის ოსტატ ბორის კახიანის მემორიალიც, შემდეგ, აგვისტო-სექტემბერში ნაკრები ვარჯიშობდა მოსკოვის ოლქში (ე. წ. „კრუგლოე ოზეროს“ მიდამოებში), ბოლოს კი ადლერსა და ისევ ტერსკოლში გააგრძელა მზადება.

**ტრამპლინიდან ხტომა.** აქ დიდ იმედებს სპორტის ოსტატ კახა წაქაძეზე ვამყარებთ. იგი, როგორც ცნობილია, ქვეყნის ნაკრების წევრია და წვრთნას სპეციალური გეგმით გადის. ერთობ დაგვაფიქრა მისმა წარუმატებელმა გამოსვლამ სექტემბერში საერთაშორისო შეჯიბრებაზე ვორიოხტაში. საქმე ისაა, რომ წვრთნის პროცესსა და სასინჯ ხტომებში კახა უსწრებდა თავის უშუალო კონკურენტებს, შეჯიბრების დროს კი ერთ-ერთ ცდაზე მეექვსე შედეგი აჩვენა, მეორე ნახტომი კი საერთოდ „გააფუჭა“ და საბოლოოდ მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევითი იყო. ასეა თუ ისე, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ კ. წაქაძეს საკავშირო სპარტაკიადაზე შეუძლია პირველ ხუთეულში მოხვედრა ან — ერთ-ერთი მედლის მოპოვება. შესამჩნევი პროგრესი იგრძნობა ახალგაზრდა წაღვერელი მხტომელის ელგუჯა ორჯონიკიძის გამოსვლებში. მას თამამად შეუძლია პირველ ოცეულში დაიმკვიდროს ადგილი.

**ციგაობა.** როგორც ცნობილია, ქვეყნის ნაკრებში ირიცხებიან ბაკურიანელები კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი. მზადებას ისინიც საკავშირო ნაკრების გეგმით გადიან, თუმცა ხშირად უერთდებიან რესპუბლიკის ნაკრების ვარჯიშსაც. ჩვენი ვარაუდით ამ წყვილმაც პირველ ხუთეულში უნდა მოიპოვოს ადგილი, უკეთეს შემთხვევაში კი ერთ-ერთ მედალს დაეუფლოს. ჩასათვლელ ქულებს ველით ძმებ კახა და ზაქრო კურტანიძეებისაგანაც. რესპუბლიკის ვაჟთა ნაკრებმა ხალხთა სპარტაკიადაზე მეხუთე-მეექვსე ადგილებისათვის უნდა იბრძოლოს. ჩვენი ქალთა გუნდი არც ამ სახეობაში მიიღებს მონაწილეობას. ნაკრებმა გაიარა შეკრებები რიგასა (ივლისი-აგვისტო) და სიგულდაში (ოქტომბერ-ნოემბერი).

**ფიგურული სრიალი.** გუნდიდან ქვეყნის ნაკრების წევრის ანდრეი ტოროსიანის წასვლის შემდეგ საეჭვო გახდა ამ სახეობაში რესპუბლიკის ნაკრების მონაწილეობა. სპეციალისტების აზრით ჩვენს ორ-სამ მოციგურავეს შესწევს უნარი სპარტაკიადაზე თორმეტ სპორტსმენს შორის მოხვდეს და ჩასათვლელი ქულები მიიღოს. გუნდს ჯერჯერობით ჩაუტარდა ერთადერთი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ზაპოროჟიეში.

**ციგაობა ნატურალურ ტრასებზე (ნატურბანი).** ხალხთა სპარტაკიადაზე ისევ მხოლოდ ვაჟთა გუნდი გამოვა. მასში შედიან ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ზ. ჯიჩოევი და თ. იაკოფოვი. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი წყვილი მეექვსე ადგილს არ გასცდება და საჭირო ქულებს მოგვიტანს.

**ფრისტაილი.** ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ახალი სახეობის განვითარებას პირველმა „შრომითი რეზერვების“ სპორტსაზოგადოებამ მოჰკიდა ხელი. ნაკრების უფროსი მწვრთნელია სამველ ანდრეასიანი, მწვრთნელი — შოთა კოზანაშვილი. ხალხთა სპარტაკიადაში რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობა უდავოდ დიდ სტიმულს მისცემს ჩვენში ფრისტაილის შემდგომ განვითარებას.

ესაუბრა **ოთარ ოთარაშვილი.**

# სახელოვანი სპორტსმენის პრიზზე



**თბილისში** ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში (გლდანი) ჩატარდა 1974-1975 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონის, სპორტის საპატიო ოსტატის ჯემალ ცერცვაძის პრიზზე.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, კიევის, მინსკის, კრასნოდარის, ტირასპოლის, ასტრახანისა და თბილისის (2) გუნდმა. აღსანიშნავია, რომ გაისად, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში სწორედ ამ ასაკის ხელბურთელებს მოუწევთ ასპარეზობა. ამდენად, საანგარიშო შეჯიბრება მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა, მითუმეტეს, რომ მასპინძელთა პირველი გუნდი ფაქტიურად საქართველოს ნაკრებია.

ქვეჯგუფში თბილისელებმა დაამარცხეს ასტრახანის (31:14), ტირასპოლისა (29:19) და მოსკოვის (17:15) გუნდები და ფინალურ ოთხეულში „ოქროს“ 2 ქულით შევიდნენ. მომდევნო შეხვედრაში ქართველმა ხელბურთელებმა კრასნოდარელ თანატოლებს მოუგეს — 19:16.

ბოლო ტურის წინ ასევე 4 ქულა დაუგროვდა მინსკელ ჭაბუკებს. სწორედ ამ ორი გუნდის შეხვედრას უნდა გაერკვია ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა.

გადამწყვეტი მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა — თითო ბურთით წინ ხან ერთი, ხან მეორე გუნდი გადიოდა. თითქმის მთელი მეორე ტაიმის მანძილზე ანგარიში საყაიმო იყო და მხოლოდ შეხვედრის მიწურულში შეძლეს მასპინძლებმა ორი ბურთით დაწინაურება და გაიმარჯვეს 17:15.

ამრიგად, ისევე როგორც წინა გათამაშებაში, წელსაც თბილისელმა ხელბურთელებმა (გუნდის მწვრთნელები ჯიმშერ დვალიშვილი და მერაბ მეტრეველი) მოიპოვეს სახელოვანი სპორტსმენის თასი.

**გია ახალაძე.**

• • •



**სურათზე:** თბილისელ და მინსკელ ხელბურთელთა შეხვედრის ფრაგმენტები.

ავტორის ფოტოები.

# ფედერაციის სათავეში — პროფესიონალები

**ამ** დღეებში გაიმართა უკრაინის სსრ ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამ დაამტკიცა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის ახალი წესდება, შემდეგ აირჩიეს უკრაინის სსრ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. ამ პოსტზე ორი კანდიდატი იყო: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ფომინიხი, რომელიც მრავალი წელია სათავეში უდგას უკრაინის სპორტსახკომის ფეხბურთის განყოფილებას და წარსულში ცნობილი მეკარე, სპორტის ოსტატი ვ. ბანიკოვი. ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტად გავიდა ნ. ფომინიხი.

## კვლავ სარბიელზე

**„შევარდენის“** რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველომ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. წელს პირველად ჩატარდა რესპუბლიკის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი, რომელთა ასაკი 30 წელს ჰარბობდა. ტურნირში მონაწილეობდა 12 გუნდი.

აღნიშნული ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ხაშურის (მწვრთნელი-მეთოდისტი მ. კიკაძე) და თბილისის გვირაბმშენის (მწვრთნელი-მეთოდისტი მ. კაპანაძე) ფეხბურთელები. თამაში, რომელიც თბილისის „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორზე გაიმართა, საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა 11-მეტრიანების სერია, აქ კი გვირაბმშენის ფეხბურთელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ. საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 5:4 და დაეუფლნენ გარდამავალ თასს.

**თამაზ ლაცაბიძე,**

გათამაშების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი ფეხბურთში.



## „ვასკო და გამა“ — ჩემპიონი

**75 ათასი** მაყურებელი ადევნებდა თვალს სან-პაულუს სტადიონზე მეტად საინტერესო ბრძოლს „ვასკო და გამასა“ და „სან-პაულუს“ შორის. გამარჯვებული გუნდი ბრაზილიის ჩემპიონის წოდებას ეუფლებოდა.

თამაშის ბედი გადაწყდა 50-ე წუთზე, როცა „ვასკო და გამას“ თავდამსხმელმა სორატომ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „სან-პაულუს“ კარში — 1:0. ამ გოლმა „ვასკო და გამას“ ბრაზილიის 1989 წლის ჩემპიონობა მოუტანა.

## „ბენფიკა“ — მესამე ადგილზე

**პორტუგალიის** ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მე-12 ტურში ლისაბონის „ბენფიკამ“, რომელიც დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქეა ევროპის ჩემპიონთა თასზე, ანგარიშით 3:1 მოუგო „ფეიერენზეს“ და ახლა მესამე ადგილზე იმყოფება „პორტოსა“ და „გიმარაეშის“ შემდეგ.

## რატომ ძენგა?

**ინგლისის** ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა მეკარემ რეი კლემენსმა, რომელიც დიდხანს პიტერ შილტონთან ერთად იცავდა ნაკრების კარს, ახლა კი ბი-ბი-სის საფეხბურთო კომენტატორია, ჟურნალისტებს განუცხადა:

— ძალიან გამიკვირდა, როცა ევროპის №1 მეკარედ ძენგა გამოაცხადეს და არა მასზე გაცილებით უფრო ძლიერი შილტონი. თუ ძენგა ევროპის №1 მეკარეა, მაშინ შილტონი მსოფლიოს უძლიერეს მეკარედ უნდა მივიჩნიოთ.

## სიმონსენი აღარ ითამაშებს

**ცნობილმა** დანიელმა ფეხბურთელმა, 37 წლის ევროპის „ოქროს ბურთის“ ლაურეატმა ალან სიმონსენმა გადაწყვიტა ასაკის გამო თავი დაანებოს თამაშს. სიმონსენი წლების განმავლობაში დიდი წარმატებით გამოდიოდა მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“, „ბარსელონაში“, ერთხანს — „ჩარლტონ ატლეტიკში“, ბოლოს კი მშობლიურ „ვეილეში“ თამაშობდა.

# ერთპიროვნული ლიდერი

**ბრძელდება** დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა 61-ე ჩემპიონატი. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

**VIII ტური:** კაკაბაძე-შალამბერიძე 1:0, ლობჟანიძე-პეტრიაშვილი 1:0, ბოკუჩავა-ყაჭეიშვილი 1:0, ლაზარაშვილი-დგებუაძე 0:1, მელაშვილი-გოგაძე 1:0, კუჭუხიძე-პაქსაშვილი 1:0, ვაშაკიძე-პოპოვი 0:1, გოგოლაძე-გოგიჩაიშვილი 0:1.

**IX ტური:** პოპოვი-გოგოლაძე 1:0, ყაჭეიშვილი-ლაზარაშვილი 0:1, პეტრიაშვილი-ბოკუჩავა 0:1, შალამბერიძე-ლობჟანიძე 0:1, გოგიჩაიშვილი-კაკაბაძე 0,5:0,5, პაქსაშვილი-ხაბურზანია 0,5:0,5, გოგაძე-კუჭუხიძე 0,5:0,5, სირბილაძე-ვაშაკიძე 0,5:0,5, დგებუაძე-მელაშვილი 0,5:0,5.

**X ტური:** ბოკუჩავა-შალამბერიძე 1:0, ლაზარაშვილი-პეტრიაშვილი 1:0, მელაშვილი-ყაჭეიშვილი 1:0, კუჭუხიძე-დგებუაძე 0,5:0,5, ხაბურზანია-გოგაძე 0,5:0,5, ვაშაკიძე-პაქსაშვილი 0,5:0,5.

**XI ტური:** პოპოვი-კაკაბაძე 0:1, გოგაძე-ვაშაკიძე 0:1, სირბილაძე-გოგიჩაიშვილი 0:1, პაქსაშვილი-გოგოლაძე 0:1, დგებუაძე-ხაბურზანია 0:1.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ასეთი შედეგები აღინიშნა: **III ტური:** პაქსაშვილი-შალამბერიძე 0,5:0,5, **VI ტური:** ხაბურზანია-გოგიჩაიშვილი 0:1, **VII ტური:** პაქსაშვილი-მელაშვილი 0:1, პეტრიაშვილი-შალამბერიძე 0:1.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ 8 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს რევაზ კაკაბაძე. შემდეგ მოდიან: დავით ლობჟანიძე — 7,5 (2), გივი გოგიჩაიშვილი, შოთა კუჭუხიძე, იანის პოპოვი — 7,5 (1), ალექსანდრე დგებუაძე — 7,5.

**რაჩიკ პარტაშიანი,**

შეჯიბრების მთავარი მდივანი-მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# გამონაკლისს არ ვუშვებთ

**როდესაც** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო აღიარებას ვფიქრობთ, ვიცით რომ ამ საკითხში საბოლოო ინსტანცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტია (სოკ), ხოლო ყველაზე კომპეტენტური ადამიანი — მისი პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ამ დღეებში სამარანჩმა ევროპის სპორტულ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ჩვენთვის მეტად არასასიამოვნო მოსაზრება გამოთქვა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) შესახებ.



**● ის, რაც ახლა აღმოსავლეთ ევროპაში ხდება, გარკვეულწილად მსოფლიოზე და სპორტზეც მოქმედებს. რას მოუტანს ოლიმპიურ მოძრაობას ეს ცვლილებები?**

— მხოლოდ სარგებლობას. ჩვენთვის უფრო ადვილი იქნება ერთმანეთთან ურთიერთობა და ურთიერთგაგება.

**● შეუძლია თუ არა სოკ-ს იმოქმედოს ისე, რომ 1996 წელს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ჩატარდეს ბერლინის ორივე ნაწილში?**

— ჩვენ, უკვე გვყავს ექვსი ქალაქი-კანდიდატი. ახლა რაიმეს შეცვლის უფლება არა გვაქვს.

**● თუ გამონაკლისს დაუშვებთ?**

— არა.

**● ნუთუ თქვენთვის შთამაგონებელი არ არის შესაძლებლობა, ხელი შეუწყოთ პლანეტაზე მიმდინარე ცვლილებებს, ნუთუ არ გხიბლავთ შანსი გახდეთ მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი?**

— სხვებისთვის ლექციების კითხვა ჩვენი ამოცანა არ გახლავთ. გერმანელებმა თვითონ უნდა უშველონ თავიანთ პრობლემებს. თუ გდრ და გფრ გადაწყვეტენ, რომ შეუძლიათ ერთობლივი ოლიმპიური თამაშების ჩატარება, მაშინ ბერლინის კანდიდატურა ძალზე საფუძვლიანი იქნება. მართალია, ქალაქს ოლიმპიურ თამაშებზე თავისი პრეტენზია მხოლოდ 2000 წლისთვის თუ ექნება. საბოლოოდ ამ საკითხს მაინც სოკ-ის ყველა წევრი გადაწყვეტს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მათგანი ხმას მისცემს ამ წინადადებას.

**● თქვენ, როგორც ყოფილი დიპლომატი, გულგრილი ვერ დარჩებით იმის მიმართ, რაც ახლა გდრ-ში ხდება...**

— დიახ, მე ყურადღებით ვადევნებ თვალს მდინარე შპრეეს ნაპირებზე მიმდინარე მოვლენებს.

**● შემდეგ რა მოხდება? იქნებ საერთოგერმანული გუნდის შექმნა, როგორც ოდესღაც რომში და ტოკიოში?**

— მაშინ სიტუაცია ცოტა სხვაგვარი გახლდათ, გდრ არ იყო აღიარებული ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

**● მაგრამ მარტო გდრ-მ არ გახსნა თავისი საზღვრები. საბჭოთა კავშირში გარდაქმნა მიმდინარეობს. ცნობს თუ არა სოკ-ი ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის ოლიმპიურ კომიტეტებს?**

— სოკ-ს რომ ასეთი უფლება ჰქონდეს, საჭიროა შესრულდეს შემდეგი პირობები: თითოეული ეოკ-ი უნდა იყოს სულ ცოტა ხუთი საერთაშორისო ფედერაციის წევრი, აგრეთვე მიიღოს თანხმობა იმ ეოკ-ისგან, რომელიც ადრე მის ტერიტორიაზე იყო პასუხისმგებელი, მოცემულ შემთხვევაში — საბჭოთა კავშირისგან.

**● რეფორმები აღმოსავლეთ ევროპაში სოკ-ს საშუალებას აძლევს გამონახოს დაფინანსების ახალი წყაროები.**

— კომერციალიზაცია — ჩვენი მიზანი არ არის. რეკლამის გარეშე მხოლოდ უიმბლდონი და ოლიმპიური თამაშები ტარდება.

**● მაგრამ თქვენ დიდძალ ფულს იღებთ თამაშებიდან ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვით. იგი შეგიძლიათ მიიღოთ აღმოსავლეთ ევროპიდანაც.**

— ამ რეგიონების ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან რთულია. საჭიროა იგი მალე გამოსწორდეს.

**● მეორე ათასწლეული თავდება. თქვენ უკვე ათი წელია სათავეში უდგეხართ სოკ-ს. გთხოვთ მოკლედ შეაჯამოთ გაწეული მუშაობის შედეგები.**

— ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპიური მოძრაობა ამ წლების განმავლობაში მომძლავრდა. სპორტი საზოგადოებაში უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

**● როდესაც 1980 წელს თქვენ სოკ-ის პრეზიდენტად აგირჩიეს, გაისმოდა ხმები, რომ უახლოეს ხანში ოლიმპიური თამაშების დასასრული დადგებოდა. დღეს უკვე ასეთი აზრი აღარ ისმება.**

— პირიქით, საქმე ამბობს, რომ უფრო ძლიერნი გავხდით. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთობას მივაღწიეთ. ამის გაკეთება სოკ-ში არც ისე ადვილი იყო.

**● შესაძლებელია თუ არა ოლიმპიური თამაშების ახალი ბოიკოტები?**

— არა მგონია, რომ ასეთი რამ მოხდეს. პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ ასეთი ზომები მხოლოდ ზარიმაა თავიანთი ათლეტებისთვის.

**● მომავალში რა სიძნელეებთან არის მოსალოდნელი შეჯახება?**

— პრობლემები ყოველთვის სამყოფია იმიტომ, რომ ოლიმპიური მოძრაობა მუდმივად განიცდის განვითარებას. ვფიქრობ, რომ ჩვენ ძველებურად თან გვდევს სადოპინგო ვნებები.

**„სოვეტსკი სპორტი"**
**17 დეკემბერი, 1989 წ.**

**რედაქციისაგან:** როგორც ხედავთ, საქართველოს ეოკ-ის საერთაშორისო აღიარების გზა მოხკოვზე გადის. იქ კი, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მესვეურებმ მ. გრამოვის ხელმძღვანელობით „ერთი სული აქვთ", როდის მოგვანიჭებენ სრულ კონსტიტუციურ სუვერენიტეტს...

ამ და სხვა საკითხებში საქართველოს ეოკ-ის პოზიციაზე მკითხველებს ცალკე მოვუთხრობთ.



# დღეს გადამწყვეტი მატჩებია

**სამშაბათს გაიმართა საქართველოს მორაგბეთა XXII ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მეორე ტურის შეხვედრები.**

**ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) — „სამთოელი" (ქიათურა) 17:8 (4:8).** თამაში ვარკეთილის სტადიონზე ძლიერ და ცვალებადი მიმართულების ქარში მიმდინარეობდა. თავიდან სტუდენტებმა შეუტიეს, მაგრამ მე-7 წუთზე, ერთ-ერთი პირველი კონტრიერიშის დროს, ჭიათურელებმა ოსტატურად გააგორეს ბურთი ლელოსკენ და დაამიწეს კიდეც 4:0. მე-14 წუთზე ანგარიში გათანაბრდა: ზოოვეტის გუნდმა ერთი შეტევის მანძილზე სხვადასხვა ფრთისკენ ოთხჯერ გაათამაშა ბურთი, ბოლოს კი შერკინების მახლობლად შეუტია და ჩარქსულიანმა ლელო გაიტანა — 4:4. აქედან მოყოლებული პირველი ტაიმის ბოლომდე უპირატესობა ხელთ იგდეს ჭიათურელებმა, რომელთა მორკინალები სჯობნიდნენ მეტოქისას, გარე ნახევარმცველი მ. შეყლაშვილი კი თავადაც სახიფათოდ უტევდა და უკანა ხაზის თამაშსაც სწორად წარმართავდა. შეყლაშვილის თაოსნობით „სამთოელმა" მეორე ლელოც გაიტანა, კიდევ ერთი ნაღდი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან და ტაიმი მოიგო — 8:4. შესვენების შემდეგ სტუდენტთა უკეთესმა მზადყოფნამ იჩინა თავი. ჭიათურელები, ეტყობა, დაიღალნენ, ზოოვეტის გუნდი კი შეწყობილად და რაციონალურად ათამაშდა, ნახევარმცველებმა გონივრულად „გაუნაწილეს" ბურთი მორკინალებსა და უკანა ხაზს და საგრძნობი უპირატესობაც მოიპოვეს, რაც ანგარიშსაც დაეტყო. 57-ე წუთზე ჯულელმა (ლელოს გატანით) და ცინცაძემ (გარდასახვით) წინ გაიყვანეს ზოოვეტი, 67-ე წუთზე ბახტაძემ საჯარიმო გაიტანა, 73-ე წუთზე სულხანიშვილმა — ლელო და, თუმცა დარჩენილ დროში ჭიათურელები უანგარიშო იერიშზე გადავიდნენ, ზოოვეტის ლელოს არ მოშორებიან და კარში დასარტყმელი ორი საჯარიმო ლელოს გატანის იმედად გაითამაშეს კიდეც, ზოოვეტის გუნდმა მაინც გაიმარჯვა, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიბევა და მთავარ ფინალში გავიდა.

**„აისი" (ქუთაისი) — „შევარდენი" (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისი) 7:6 (3:6).** შესვენებამდე „შევარდენის" ჭაბუკებმა მეტოქეს ამჯერადაც მოახვიეს თავს თავიანთი ტაქტიკა, რაც მორკინალთა აქტიურობასა და გარე ნახევარმცველის ზ. ხუჭუას დარტყმებს ემყარებოდა. თუმცაღა „აისი" ბევრს ეცადა, კომბინაციურად ეთამაშა, ჭირვეულმა ქარმა და საბრძოლო განწყობის ნაკლებობამ ქუთაისელები ცუდ დღეში ჩააგდო, ვინაიდან ხუჭუას ხელიდან არ გაუშვია თავისი შანსი: მან საკმაოდ შორიდან ჯერ საჯარიმო შეაგდო, შემდეგ — არეკნი. მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლეს ქუთაისელებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება (ტყაბლაძემ, საჯარიმოთი) — 3:6. შესვენების შემდეგ „აისმა" უმალ ძალისმიერი და თავგანწირული იერიშები წამოიწყო და, ლამის იყო, „წალეკა" შევარდენელები. 46-ე წუთზე ტყაბლაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა საჯარიმო, მაგრამ ორიოდე წუთში „აისის" მორკინალებმა ჯგუფური ლელო მაინც გაიტანეს. თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. „აისს" ანგარიშის გაზრდა ეწადა, „შევარდენს" კი, რომელიც გარე ნახევარმცველად ძნელაძის გადმოყვანის შემდეგ „ხელით" ათამაშდა — დაკარგული უპირატესობის დაბრუნება. ძნელაძემ და მისმა თანაგუნდელმა იურინმა კარს საჯარიმოები აარიდინეს, მათვე სახიფათო სოლო-გარღვევებიც განახორციელეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

**დღეს** ვარკეთილის სტადიონზე 13 საათიდან გაიმართება მესამე ტურის მატჩები. „აისი" სპი-ს ეთამაშება, „სამთოელი" — უნივერსიტეტს. თუ ჭიათურელები და უნივერსიტეტელები ქვეჯგუფში მხოლოდ მეორე ადგილისთვის თამაშობენ, სპი — „აისის" მატჩში უშეღავათო ბრძოლაა მოსალოდნელი, რადგანაც ამ ქვეჯგუფიდან ფინალში გასვლის შანსს სამივე გუნდი ინარჩუნებს. თუ გაიმარჯვებს „აისი" ან თამაში ფრედ დამთავრდება, ფინალში ქუთაისელები გავლენ. პოლიტექნიკოსებს მიზნის მისაღწევად 10 ან მეტი ქულით მოგება ესაჭიროებათ, მაგრამ თუ სპი ნაკლები სხვაობით გაიმარჯვებს, ქვეჯგუფში პირველ ადგილზე და ფინალშიც „შევარდენი" გავა.

| „სპორტპროგნოზი", 53-ე ტირაჟის პროგრამა (29-30 დეკემბერი) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **ნჰლ-ს ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში** | | | | |
| 1. „მონრეალ კანადიენსი" — „ედმონტონ ოილერსი" | 29.XII | 80 | 10 | 10 |
| 2. „ნიუ-იორკ რეინჯერსი" — „ნიუ-ჯერსი დევილსი" | 29.XII | 60 | 10 | 30 |
| 3. „დეტროიტ რედ უინგზი" — „ვაშინგტონ კეპიტალსი" | 29.XII | 30 | 30 | 40 |
| 4. „ვინიპეგ ჯეტსი" — „კალგარი ფლეიმზი" | 29.XII | 20 | 30 | 50 |
| **ამხანაგური შეხვედრები ნჰლ-ს კლუბებსა და საბჭოთა ჰოკეისტებს შორის** | | | | |
| 5. „პიტსბურგ პინგვინზი" — „დინამო" (მოსკოვი) | 29.XII | 50 | 10 | 40 |
| 6. „ვანკუვერ კენაკსი" — ცსკა | 29.XII | 30 | 10 | 60 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 7. „საიანი" (აბაკანი) — „სიბსელმაში" (ნოვოსიბირსკი) | 30.XII | 50 | 10 | 40 |
| 8. „კუზბასი" (კემეროვო) — ასკ (სვერდლოვსკი) | 30.XII | 30 | 30 | 40 |
| 9. „დინამო" (ალმა-ატა) — „იუნოსტი" (ომსკი) | 30.XII | 70 | 20 | 10 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 10. „ატალანტა" (ბერგამო) — „ფიორენტინა" (ფლორენცია) | 30.XII | 10 | 40 | 50 |
| 11. „ბარი" (ბარი) — „მილანი" (მილანი) | 30.XII | 10 | 20 | 70 |
| 12. „ინტერი" (მილანი) — „უდინეზე" (უდინე) | 30.XII | 80 | 10 | 10 |
| 13. „იუვენტუსი" (ტურინი) — „ლეჩე" (ლეჩე) | 30.XII | 70 | 20 | 10 |

**შენიშვნები:** პირველი ექვსი წყვილის შედეგები დაფიქსირდება თამაშის საბოლოო შედეგების მიხედვით. ნჰლ-ს ჩემპიონატში, წესისამებრ, მასპინძლები იწერებიან წყვილებში მეორედ. ამიტომ, გაითვალისწინეთ, რომ პირველი ოთხი წყვილის თამაშები ტარდება მეორედ მინიშნებული გუნდების მოედნებზე.

# რჩეულები ყველა შეჯიბრებას ჰყავს

**თბილისის** სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სასპორტო სკოლის გოგონებმა და ჭაბუკებმა (დირექტორი გ. იმნაძე) გაიმარჯვეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს თასის გათამაშებაში 1974-1975 წლებში დაბადებულ მოსწავლე ფრენბურთელთა შორის.

შეჯიბრების მიზანი იყო მოსწავლეთა 1990 წლის სპარტაკიადისთვის ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრები გუნდებისათვის კანდიდატთა შერჩევა.

საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი ჭაბუკებში გადაეცა თბილისის 170-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს ლევან დვალიშვილს, გოგონებში მე-20 საშუალო სკოლის IX კლასელ ვიქტორია რავას. უნივერსალურ მოთამაშეებად მიიჩნიეს ვადიმ ტკაჩენკო და ნინელი ლექავა.

აღნიშვნის ღირსია სამტრედიის ფრენბურთის ფედერაციისა (თავმჯდომარე ტ. ნიკოლაიშვილი) და ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის (დირექტორი ჯ. ნიკურაძე) ხელმძღვანელთა მონდომება, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ მოზარდთა ეს შეჯიბრება ნამდვილ სპორტულ ზეიმად ექციათ.

**ნანა გოგოლაშვილი.**

# საშუალო სკოლის მოწმობა — ტაისონს

**მსოფლიო** ჩემპიონი მიკ ტაისონი ამ ბოლო ხანებში სულ სხვა პრობლემებით იყო დაკავებული. ქ. ვილბერფორსის (ოჰაიოს შტატი) განათლების უწყების მესვეურებმა ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ დააკმაყოფილეს განთქმული მოკრივის შუამდგომლობა მისთვის საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობის მიცემის შესახებ. ეს ტაისონის დიდი ხნის სურვილი იყო.

ამასობაში დიდი წარმატებით განაგრძობს რინგზე გამოსვლებს ევანდერ ჰოლიფილდი (აშშ), რომელიც მსოფლიო ჩემპიონობის №1 პრეტენდენტად ითვლება. მან მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია ალექს სტიუარტს (აშშ). ეს ჰოლიფილდის 23 მოგებაა (აქედან 19 ნოკაუტით) პროფესიულ რინგზე ჩატარებულ ამდენივე მატჩიდან. ახლა ჰოლიფილდმა ოფიციალურად დასვა საკითხი მერმისს ივნისში ტაისონთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის გამართვის შესახებ, თუკი, რა თქმა უნდა, ტაისონმა მიიღო ეს წინადადება. საქმე ის არის, რომ ტაისონის მატჩების მომწყობმა დონ კინგმა პრეტენდენტებთან მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრების ასეთი თანამიმდევრობა შეადგინა: ჯერ ტაისონი რედოკს (კანადა) შეხვდება, შემდეგ კი ამერიკელებს დუგლასს, ჰოლიფილდს, ფორმენსა და მესონს.

### ევროპის საკალათბურთო მოედნებზე

## იუგოსლავია

რვა ტურის შემდეგ 15 ქულით პირველობას ლიდერობს ქვეყნის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი სპლიტის „იუგოპლასტიკა". 14-14 ქულა აქვთ „ზადარს", „ცრვენა ზვეზდას" და „ციბონას".

მერვე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის ჩემპიონი „იუგოპლასტიკა" და ვიცე-ჩემპიონი „პარტიზანი". უდივაცოდ და უპასპალოდ, რომლებიც პროფესიონალებში გადავიდნენ, ცხადია, „პარტიზანი" ისე ველარ ბრწყინავს, როგორც შარშანდელ სეზონში. „იუგოპლასტიკამ" ეს მატჩი დამაჯერებლად მოიგო — 106:85 (48:42), რასაც დიდად შეუწყო ხელი დინო რაჯასა (29 ქულა) და ტონი კუკოჩის (25) ბრწყინვალე თამაშმა. „ზადარმა", ამომავალი ვარსკვლავის არიან კომიეჩის (38 ქულა) ჩინებული თამაშის შედეგად, ტუზლაში სძლია ადგილობრივ „სლობოდას" — 94:77 (50:40). „ცრვენა ზვეზდამ" დაამარცხა სარაევოს „ბოსნა" — 95:75 (48:41). გამარჯვებულთა გუნდში გამოყოფენ იანკოვიჩს (30 ქულა) და ნიკოლიჩს (18), ზაგრების „ციბონამ", დანკო ცვეტიჩანინის (36 ქულა) სნაიპერული სროლების შედეგად, დაამარცხა თანაქალაქელთა გუნდი „ნოვი ზაგრები" — 98:95 (50:40).

**მერაბ კალანდაძე.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-56,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაჭაპურთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10596